



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

მრავალენოვანი ბანათლება ევროპაში

50-წლიანი საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპაში

ენობრივი პოლიტიკა

Language Policy Division, Strasbourg
ენობრივი პოლიტიკის განყოფილება, სტრასბურგი

Language Policy Division
DG IV - Directorate of School, Out-of-School and Higher Education
Council of Europe, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება
IV განყ. - ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი
განათლების დირექტორატი, სტრასბურგი

www.coe.int/lang

**ნაშრომი ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის
განყოფილებისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის
ურთიერთობების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის („კონცეპტუალური
მასალის თარგმნა მულტილინგუური სწავლების ხელშესაწყობად“)
ფარგლებში.**

თარგმანი მმრავ ბაბუხაღიასი

რედაქტორი: ქეთევან გონიჭაშვილი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომა არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ნაშრომის თარგმანი შეთანხმებულია ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი CEDEX).

კვლევის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის და წყაროში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.

© ევროპის საბჭო, 2003

© გამომცემლობა „საიფელო“, 2008

**გამომცემლობა „საიფელო“
თბილისი, 2008**

შინაარსი

შესავალი.....	4
ნაწილი 1: ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების პოლიტიკა.....	5
ნაწილი 2: ისტორია და მიმდინარე მოვლენები.....	11
ნაწილი 3: პოლიტიკის ინსტრუმენტები და ინიციატივები.....	23
დასკვნა	31

შესავალი

ეს ნაშრომი ევროპის კულტურული კონვენციის ორმოცდამეათე წლისთავისადმია მიძღვნილი და, ფაქტობრივად, ევროპის საბჭოს მიმდინარე პოლიტიკის ანგარიშს წარმოადგენს.

კონვენცია, რომელსაც ხელი მოეწერა 1954 წლის 19 დეკემბერს კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მხარდასაჭერად, ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებებზეა ორიენტირებული (ადამიანის უფლებები, დემოკრატია და საკანონმდებლო ნორმები). ენობრივი განათლების მთავრობათშორისი განათლების პროგრამები მოიცავს კონვენციის 48 სახელმწიფო ორგანიზაციას ფართო და დინამიკური მოდელის სახით (კანკეროპული ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთთანამშრომლობა).

ამ კონტექსტში ეს ნაშრომი ეხმიანება ისტორიას და ენობრივი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირეულ განვითარებას, დაწყებულს 1950 წლიდან დღემდე. წვერი სახელმწიფოების მტკიცე ვალდებულებები მრავალი წლის განმავლობაში გვარწმუნებს, რომ ენობრივი განათლების ევროპის საბჭოს პროგრამები იყო და რჩება ნაყოფიერი ინოვაციების ხელშეწყობის, დიალოგისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძვლად პოლიტიკის გამტარებლებსა და პრაქტიკოსებს შორის.

ნაშრომი რეტროსპექტულია და ორიენტირებულია ევროპის საბჭოს წვერი სახელმწიფოების სამომავლო დახმარების მიზნით ენობრივი და სამოქალაქო განათლების გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მითითებები 2005 წლის მაისში პოლონეთში ჩატარებულ სახელმწიფოს მეთაურებისა და ხელმძღვანელების მესამე სამიტზე დამტკიცდა. საბჭოს ძირითადი ღირებულებებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებისა და კონსოლიდაციის მიზნით, სამიტმა ხელსაყრელი პირობა შექმნა, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა საერთო პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავებაში, რომელიც ევროპის ამჟამინდელი რეაქსმილიონიანი მოქალაქის წინაშე გამოწვევის სახეს იღებს.

ნაწილი 1

ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების განყოფილება

ევროპის საბჭო ხელს უწყობს განათლების სფეროში ენობრივ მრავალფეროვნებასა და ენის სწავლებას ევროპის კულტურული კონვენციის ჩარჩოს მეორე პარაგრაფის მიხედვით, რომელიც კონვენციის სახელმწიფო მხარეებს უფლებას ანიჭებს, ხელი შეუწყონ მათი ენების ურთიერთსწავლებასა და სწავლებას.

ორივე საკონტრაქტო მხარემ, შეძლებისდაგვარად:

ა. ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი ეროვნებების ენების, ისტორიის, ცივილიზაციისა და სხვა ასპექტების შესწავლას და მოიპოვოს საგრანტო საშუალებები, რათა დაეხმაროს ამ სახის სწავლებას თავიანთ ტერიტორიებზე;

ბ. ხელი უნდა შეუწყოს თავიანთი ენების, ისტორიისა და ცივილიზაციის შესწავლას სხვა საკონტრაქტო მხარეების ტერიტორიაზე და საგრანტო საშუალებებით დაეხმაროს თანამემამულეთა ამ ჯგუფებს ხსნებულ ტერიტორიებზე ამ სახის სწავლების განხორციელებაში.

ევროპის საბჭოს მუშაობა, ამ წერილის სულისკვეთების მიხედვით, ენობრივი განათლების პოლიტიკის სფეროში განვითარდა ხუთი დეკადის განმავლობაში საჭირო ცვლილებებისა და წვერი სახელმწიფოების მონაწილეობით. საბჭო ხელს უწყობს იმ პოლიტიკას, რომელიც აძლიერებს ენობრივ მრავალფეროვნებას და ენის უფლებებს, აღრმაავებს ურთიერთგაგებას, იწვევს მოქალაქეთა კონსოლიდაციას და განამტკიცებს საზოგადოებრივ ერთიანობას.

ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს:

მრავალწლოვნებას: იგი საშუალებას იძლევა, ავამაღლოთ საკომუნიკაციო შესაძლებლობების ხარისხი მთელ რიგ ენებში, მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

ენობრივ მრავალწლოვნებას: ევროპა მრავალენოვანია და მისი ენები საკომუნიკაციო და საექსპრესიო იდენტიფიკაციისათვის თანაბარი ღირებულებისაა; ევროპის საბჭოს კონვენციაში დაცულია ნებისმიერი ენის გამოყენება და სწავლა.

შრტიმტბაბბინებას: ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის და კულტურული განსხვავებების მისაღებად არსებითია სხვა ენების შესწავლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

დემოკრატიულ მოქალაქეობას: პიროვნებების მრავალენოვანი კომპეტენცია აიოლებს დემოკრატიულ და სოციალურ პროცესებში მრავალენოვანი საზოგადოების მონაწილეობას.

სოციალურ ერთიანობას: პიროვნული განვითარებისთვის, განათლებისთვის, მუშაობისთვის, მობილურობისთვის, ინფორმაციის მიღებისთვის და კულტურულად გამდიდრებისთვის თანაბარი ხელსაყრელი პირობების შექმნა დამოკიდებულია მთელი ცხოვრების მანძილზე ენის შესწავლაზე.

მრავალენოვნების სტრატეგია

ევროპის საბჭოს პროექტები იმთავითვე ყურადღებას ამახვილებდა წარმატებულ საკომუნიკაციო უნარებზე, რაც მოტივირებული იყო ურთიერთქმედებისა და მობილურობის ზრდით ევროპაში. ეს უნარები მნიშვნელოვანია ახლაც, რამეთუ გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობა სოციალური ერთიანობისა და ინტეგრაციის ახალი გამოწვევების პერსპექტივას იძლევა. ენობრივი უნარები არსებითია მოქალაქეებისთვის იმითაც, რომ ამ უნარების ფლობით ისინი სამუშაოზე ხელსაყრელი პირობების მიღებას ვარაუდობენ. შესაბამისად, აუცილებელია მათი აქტიურად ჩართვა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, რაც დემოკრატიული მოქალაქეობის განუყოფელი ნაწილია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მრავალენოვან საზოგადოებაში.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და სოციალური ერთიანობის ენობრივი პოლიტიკისადმი დაინტერესების ზრდა აისახება იმ პრიორიტეტებზე, რომელთაც ევროპის საბჭო ანიჭებს მოქალაქეობისთვის განათლებასა და 21-ე საუკუნეში კულტურათმორის დიალოგს. ეს აისახა მრავალენოვანი და ინტერკულტურული მოქალაქეების განათლების მიზანში, რომელშიც მოიაზრება მთელი რიგი ენობრივი და კულტურული ასპექტები.

ევროპის საბჭოს პოლიტიკა გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალენოვნების განვითარებას – მთელი სიცოცხლის განმავლობაში პიროვნების მრავალენოვანი რეპერტუარის გამდიდრებას. ეს რეპერტუარი შეადგენს სხვადასხვა ენასა და ენობრივ ვარიაციებს გამოცდილების სხვადასხვა დონეზე და შეიცავს სხვადასხვა ტიპის კომპეტენციებს. იგი დინამიკურია და, თავისთავად, ცვლის მთლიანად პიროვნების ცხოვრებას.

პიროვნების მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარება და გამოყენება შესაძლებელია, რამდენადაც სხვადასხვა ენა არ ისწავლება იზოლაციაში და შეიძლება

ორივემ - სწავლის პროცესმა და საკომუნიკაციოდ გამოყენებამ გავლენა მოახდინოს ერთმანეთზე. საგანმანათლებლო სისტემები საჭიროებენ უზრუნველყოფის შემსწავლელის ჰარმონიული განვითარება ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით ერთიანი, გადამკვეთი და ინტეგრაციული მიდგომების ფონზე; ამასთან, მხედველობაში იღებს ყველა ენას, რომელიც შემსწავლელთა რეპერტუარსა და მათს შესატყვის ფუნქციებში შედის. ეს გულისხმობს შემსწავლელთა დაინტერესების ხელშეწყობას მათს ენობრივ რეპერტუარებსა და შესაძლებლობაში, რათა განავითარონ და ამ რეპერტუარების ადაპტაცია მოახდინონ ცვალებად გარემოში.

მრავალენოვან პიროვნებას აქვს:

- სხვადასხვა ენისა თუ ენების რეპერტუარი;
- კომპეტენციები სხვადასხვა სახისა და დონის რეპერტუარში.

მრავალენოვანი განათლება ხელს უწყობს:

- კომპეტენტურობას, თუ რატომ და როგორ სწავლობენ არჩეულ ენას;
- ტრანსფერული უნარების გამოყენების კომპეტენტურობასა და შესაძლებლობას ენის სწავლისას;
- სხვათა მრავალენოვნების პატივისცემას, ენების ღირებულებასა და მრავალენოვან პერიპეტიებს საზოგადოებაში მათი მიღების თვალსაზრისით;
- კულტურების პატივისცემას, რომლებიც განსხვავებულია ენათა მატარებლების მიხედვით და სხვათა მიმართ კულტურული იდენტურობის აღქმას;
- მიღებისა და შეთვისების შესაძლებლობას ურთიერთობებში, რაც არსებობს ენებსა და კულტურებს შორის;
- გლობალურად ინტეგრაციულ მიდგომას ენობრივი განათლების კურიკულუმში.

ევროპული კოოპერაციის ხუთი დეკადა

მთავრობათშორისი ურთიერთთანამშრომლობა განხორციელდა *ენობრივი პოლიტიკის განყოფილების* მიერ (ადრე ეწოდებოდა *თანამედროვე ენების სექცია*) სტრასბურგში, დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში (1957 წლიდან) და *თანამედროვე ევროპული ენების ევროპის ცენტრის* მიერ (გრაცი, ავსტრია) უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

სტრასბურგის განყოფილება ორიენტირებული იყო ინსტრუმენტებსა და ინიციატივებზე ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარებისა და ანალიზის მიმართულებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ევროპის კულტურული კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს (ყველა ენისთვის - *მშობლიური ენა / პირველი ენა / განათლების ენები* და ასევე *უცხო ენები, მეორე ან უმცირესობათა ენები*) და ხელს უწყობს ფორუმს დებატებში ამ პოლიტიკის შემდგომი განვითარების შესახებ.

გრაცის ცენტრს (ECML) აქვს თავისი მისია ენობრივი პოლიტიკის გატარების მიმართულებით, სტრასბურგში შემუშავებული პოლიტიკის ინსტრუმენტების განვითარების მხარდასაჭერად და ინოვაციური მიდგომების ხელშესაწყობად. მისი სტრატეგიული მიზნები შეიცავს თანამედროვე ენების სწავლების პრაქტიკას, სწავლებასა და ტრენინგებს.

სახელმძღვანელო პრინციპები

ჯერ კიდევ 1970-იან და 1980-იან წლებში პროგრამებს მივეყავით საერთაშორისო კონსენსუსამდე სახელმძღვანელო პრინციპებით ნაგულისხმევი ენობრივი განათლების პოლიტიკიდან გამომდინარე.

- ✓ ენის სწავლება საყოველთაოა: მრავალენოვანი რეპერტუარის ხელსაყრელი პირობები თანამედროვე ევროპაში ყველა მოქალაქის საჭიროებაა;
- ✓ ენის სწავლება შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი. ეს პროცესი უნდა ისახავდეს ღირსეულ, რეალისტურ მიზნებს, რომლებიც მოიცავენ საჭიროებებს, ინტერესებს, მოტივაციასა და შესაძლებლობებს;
- ✓ ენის სწავლება არის ინტელექტუალური კომუნიკაცია: ის გადამწყვეტია წარმატებული ინტერაქციის უზრუნველსაყოფად, ენობრივი და კულტურული საზღვრების გადასაღახავად და სხვათა მრავალენოვანი რეპერტუარის ღიაობის გასავითარებლად;
- ✓ ენის სწავლება ცხოვრებისთვისაა გამიზნული: მან უნდა განავითაროს შემსწავლელის პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა, რათა აუცილებლად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომლებიც სწავლების განმავლობაში ელოდება.

-
- ✓ ენის სწავლება კოორდინირებულია: ის უნდა მთლიანად დაიგეგმოს, დაფაროს ყველა მიზანი, გამოიყენოს სწავლებისა და სასწავლო მასალა და მეთოდები, შეაფასოს შემსწავლელის მიღწევები და განავითაროს სათანადო კონვერგენცია ყველა ენას შორის, რომელიც შემსწავლელებს თავიანთ რეპერტუარში გააჩნიათ, ან დამატების სურვილი აქვთ;
 - ✓ ენის სწავლება თანმიმდევრული და გამჭვირვალე უნდა იყოს: მაღალი თანამდებობის პირები, კურიკულუმის შემდგენლები, სახელმძღვანელოების ავტორები, გამომცდელები, მასწავლებელთა ტრენერები, მასწავლებლები და შემსწავლელები ერთი მიზნის – პრობლემებისა და შეფასების კრიტერიუმების – ირგვლივ უნდა გაერთიანდნენ.

-
- ✓ ენის სწავლება და შესწავლა დინამიკური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ემყარება როგორც გამოცდილებას, ასევე ცვალებად პირობებსა და მათ გამოყენებას.

ნაწილი 2

ისტორიული და მიმდინარე მოვლენები

მოკლე ისტორია

საერთაშორისო თანამშრომლობის ადრეული პროგრამები სტრასბურგში ორიენტირებული იყო ენათა სწავლების დემოკრატიზაციაზე, პიროვნებებისა და იდეების მობილურობასა და ევროპული კულტურული და ენობრივი მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ხელშეწყობაზე. პროექტები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ წვერი სახელმწიფოები რეფორმების გატარებაში, მიზნად ისახავდნენ განვეითარებინათ შემსწავლელთა საკომუნიკაციო უნარები და განემტკიცებინათ ენის სწავლებაში და მასწავლებელთა სატრენინგო ინოვაციები მეთოდოლოგიური სასწავლო ცენტრების გაძლიერებით. წარმატებული საკომუნიკაციო და ინტერკულტურული უნარებისთვის ინოვაციების ხელშეწყობის გაგრძელებით ადრინდელი პროექტების უმრავლესობა ძირითადად მიმართული იყო ენის სწავლების სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, აგრეთვე ენობრივ განათლებაზე დემოკრატიული მოქალაქეობისთვის, ენის სწავლებაში დივერსიფიკაციაზე, ენით უზრუნველყოფის საქმეში გამჭვირვალობასა და ენობრივ განათლებაში უმცირესობათა უფლებებზე. ევროპული ენების წელმა (2001) გამოიწვია შემდგომი ინიციატივები წვერი სახელმწიფოებისათვის მხარდასაჭერად იმ პოლიტიკის საპასუხოდ, რასაც სოციალური ერთიანობისა და ინტეგრაციის ახალი გამოწვევები იძლეოდნენ.

ამ პროექტების შედეგები აისახა ევროპის საბჭოს მინისტრებისა და პარლამენტარების ასამბლეის საბჭოს (PACE) რეზოლუციასა და მთელ რიგ რეკომენდაციებში:

- 1969: რეზოლუცია N (69) 2 მინისტრთა კომიტეტი;
 1982: რეკომენდაცია N. R(82)18 მინისტრთა კომიტეტი;
 1998: რეკომენდაცია N. R(98)6 მინისტრთა კომიტეტი;
 1998: რეკომენდაცია 1383 ენობრივი მრავალფეროვნება
 (PACE);
 2001: რეკომენდაცია 1539 ენების ევროპული წელიწადი
 (PACE).

ძირითადი ისტორიული მომენტები:

- 1957 ენის სწავლების ევროპული თანამშრომლობის პირველი მთავრობათშორისი კონფერენცია;
 1963 ენის სწავლების შესახებ პირველი ძირითადი პროექტის გამოსვლა;
 1975 პირველი „დამწყები დონის“ სპეციფიკაციის პუბლიკაცია;
 1989 ახალი წევრი სახელმწიფოების მთავრობათშორის პროექტებში ჩართვის დაწყება;
 1994 ჩამოყალიბდა თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი;
 2001 ენების ევროპული წელი:
 ❖ ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები;
 ❖ ევროპული ენების პორტფოლიო;
 ❖ ენების ევროპული დღის ოფიციალური აღნიშვნა.

ადრეული ინიციატივები 1963-1972

ჯერ კიდევ 1950 წლის ბოლოს ამას მოსდევს ინიციატივები თანამედროვე ენების სწავლების გასავითარებლად ევროპაში – პირველი მთავარი პროექტი თანამედროვე ენების შესახებ (1963-1972) აუდიო-ვიზუალური მეთოდებისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობით, რომელიც შეიცავს გამოყენებითი ლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაციის დაფინანსების მხარდაჭერას (AILA).

ერთიანი საკრედიტო სქემა 1971-1977

შემუშავდა ზრდასრულთათვის ენის სწავლების ერთიანი საკრედიტო პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს ახალი სახელმძღვანელოების პროექტებს. ცნებით-ფუნქციური მოდელი სპეციფიკური მიზნებისათვის დეტალურად შემუშავდა და კონცეფციის სახით გამოქვეყნდა თავიდან ინგლისურის *საწყისი დონისათვის* 1970 წლის შუა ხანებში. ეს იყო საოპერაციო პირობების სპეციფიკაცია, თუ რის გაკეთების საშუალება ჰქონდა შემსწავლელს ენის დამოუკიდებლად გამოყენების დროს, ეხებოდა ცოდნასა და უნარებს. *საწყისი დონე* სპეციფიკურია ინგლისურისთვის ფრანგულის თავისებურებებთან ერთად (Un Niveau Seuil), რაც უზრუნველყოფდა საბაზო მოდელს თითქმის ოცდაათი ევროპული ენისათვის. მოდელი განსაკუთრებული გავლენის მქონე იყო ენის პროგრამების დასაგეგმად, ახალი ეროვნული კურიკულუმების საფუძვლად, სახელმძღვანელოებისათვის, მულტიმედიის კურსებისათვის და უფრო რეალისტური და მნიშვნელოვანი შეფასებისთვის. გარდამავალი (Waystage) და უფრო მაღალი დონის კომპეტენციები (Vantage) 1990 წლიდან მუშავდებოდა.

ენის სწავლა და სწავლება საკომუნიკაციოდ 1981-1988

სახელმძღვანელო პრინციპები პირველ პროექტში ჩამოყალიბდა, რაც ეხმიანებოდა მთელ რიგ პროექტებს და რომლებიც მოიცავდნენ განათლების ყველა სფეროს, რეკომენდაცია N R (82) 18 ასრულებდა ჩარჩო-კონცეფციის როლს კურიკულუმის, მეთოდებისა და გამოცდების რეფორმის საქმეში 1980-იან წლებში. სკოლების ინტერაქციის ქსელი მთავარ როლს თამაშობდა გამოცდილების გაზიარების საქმეში და წვერი სახელმწიფოების გამოცდილებას შორის და საკლასო

მასალებსა და მეთოდებში ინოვაციების შემოტანაში. მასწავლებელთა ტრენინგები ძირითად აგენტებად იყვნენ წარმოდგენილნი ამ ინოვაციასა და, საზოგადოდ, მთელ რიგ საერთაშორისო სიმპოზიუმებში სპეციფიკურ, პროორიტეტულ თემებზე.

ენის სწავლება ევროპული მოქალაქეობისათვის 1989-1997

ამ პერიოდში ადეკვატურად აისახა ევროპის საბჭოს გაფართოება და ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის შედარებით ახალი წევრი სახელმწიფოების მონაწილეობა პროგრამის გამდიდრების თვალსაზრისით. მთელი რიგი „ახალი სტილის“ ორმაგი სიმპოზიუმები ორგანიზებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ორენოვანი განათლება, საგანმანათლებლო კავშირები და გაცვლები, შემსწავლელთა ავტონომია, გამდიდრებული მოდელები სპეციფიკური მიზნებისთვის. საწყისი საკოორდინაციო სიმპოზიუმი წევრი სახელმწიფოების მიერ ჩატარდა ორწლიანი განვითარების პროგრამით და მიღებული იქნა შედეგები, დაიგეგმა მისი გავრცელება და რეკომენდირებული იქნა სიმპოზიუმი (პარტნიორ) მასპინძელ ქვეყანაში შემდგარიყო.

1997 წელს სტრასბურგში გამართული კონფერენციის შედეგები და რეკომენდაციები ასახულია *თანამედროვე ენებთან დაკავშირებულ მრჩევლების საბჭოსთან* რეკომენდაციაში N. R(98) 6. მოხდა კონცენტრირება კულტურათმორის კომუნიკაციასა და მულტილინგვალისზმზე, როგორც ძირითად პოლიტიკურ მიზნებზე; კონკრეტული ზომების მიღება თითოეული საგანმანათლებლო სექტორის განვითარების მიზნით და საწყისი და უწყვეტი ზრუნვა მასწავლებელთა განათლებაზე.

ენობრივი პოლიტიკა მულტილინგუური და მულტიკულტურული ევროპისათვის (1997-2001)

ეს საშუალოვადიანი პროექტი ორიენტირებულია ევროპის საბჭოს პრიორიტეტებზე, რადგან იყო ცდა, გაეგრძელებინა ევროპის საბჭოს მეორე სამიტი.

აქტივობები დაიგეგმა ფედერალური ხელისუფლებების მრავალენოვნების ხელშესაწყობად და საზოგადოების გასათვითცნობიერებლად იმ ნაწილში, რომელშიც ენა ევროპულ იდენტიფიკაციაში მთავარ როლს თამაშობს. ეს მიზნები და სკოლებში ენის სწავლების დივერსიფიკაცია განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი ენების ევროპულ წელს (2001).

ენის სწავლების დაგეგმვისა და შეფასების ზოგად-ევროპული ძირითადი ინსტრუმენტები, კვალიფიკაციების ურთიერთადიარება და პოლიტიკის კოორდინაცია დაიხვეწა და შემდეგ პილოტირებული იქნა (იხ. ნაწილი 3).

ეს პროექტი წარმოდგენილია ენების ევროპულ წელთან 2001 და ზოგადევროპული კომპეტენციების გამოშვებასთან და ევროპული ენების პორტფოლიოსთან ერთად (www.coe.int/portfolio).

რეკომენდაცია No R(98) 6 ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს მრავალენოვნების ფართოდ გავრცელების საქმეში:

* ყველა ევროპელს ესმარება, მიაღწიოს საკომუნიკაციო შესაძლებლობის დონეს რიგ ენებში;

* შემოთავაზებული და არსებული მიზნებით ენების დივერსიფიკაციას, რომლებიც შესაბამება თითოეულ ენას;

* სასწავლო პროგრამების ყველა დონეზე ხელშეწყობას, რომელიც იყენებს მოქნილ მიდგომას მოდულარული კურსების გამოყენების ჩათვლით და იმით, რაც მიზნად ისახავს ნაწილობრივი კომპეტენციების განვითარებას – და, შესაბამისად, აღიარებს ეროვნულ საკვალიფიკაციო სისტემებში, კერძოდ, საჯარო გამოცდებში;

* უცხო ენების გამოყენების ხელშეწყობაში არალინგვისტური საგნების სწავლებას (მაგალითად, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა) და ამგვარი სწავლებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად;

* საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით ყველა ევროპული ეროვნული ან რეგიონული ენებისთვის სასწავლო მასალის მისაწვდომობის ხელშეწყობა;

* განათლების ყველა დონეზე სასწავლო დაწესებულებებსა და პიროვნებებს შორის სხვა ქვეყნებში, ყველა დონეზე, კავშირებისა და გაცვლების განვითარების ხელშეწყობა ისე, რომ ყველას ჰქონდეს ავთენტური კულტურისა და ენობრივი გამოცდილების დაცვის შესაძლებლობა;

* ენის სწავლების ხანგრძლივობის სიმძიმის შემსუბუქება სათანადო რესურსებით უზრუნველყოფით.

ენების ევროპული წელი

ენების ევროპული წელი – 2001 ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოს მიერ (ენობრივი პოლიტიკის განყოფილება) და ევროპის კავშირის მიერ. ჩართული იყო 45 ქვეყანა სრული ძალისხმევით, რათა ხელი შეეწყოთ ენობრივი მრავალფეროვნებისათვის და გაეზარდათ ენის სწავლების ხარისხი. წელი ხასიათდებოდა 26 000 აქტივობით, დაწყებული ენის ფესტივალიდან, შეჯიბრებებიდან და მედია მოვლენებიდან, ენის სწავლებაში ძირითად პრობლემებზე ჩატარებული კონფერენციის ჩათვლით. მრავალმა ქვეყანამ წარმოადგინა ენის სწავლებაში ძირითადი მიმართულებები და წარმოიშვა ახალი პარტნიორობა სტრატეგიის განმსაზღვრელებსა და მათ შორის, ვინც პასუხისმგებელია უცხო ენებისა და სახელმწიფო / ოფიციალური, რეგიონული და უმცირესობათა ენებისა და მიგრანტთა საზოგადოებების ენათა შესწავლაში. ეს წელი პირველ

ადგილზე აყენებდა ენობრივი განათლების პოლიტიკას არა მხოლოდ ეკონომიკური წარმატების მიღების, არამედ სოციალური ჩართვის, ენობრივი უფლების, დემოკრატიული მოქალაქეობისა და კულტურათმშორისი ურთიერთგაგების მიზნით.

მომდევნო წელს ჩამოყალიბდა წვერი სახელმწიფოების პოლიტიკური ინიციატივების ახალი ფორმა: ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები მათი ფართოდ გამოყენების ჩათვლით, და ამ შესავალში ევროპული ენების პორტფოლიოში პირველ ნაბიჯები.

მოცემული წლის გრძელვადიან მიზნებს დაერქვა **ენათა ევროპული დღე**, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებული იყო წლის მოვლენად და ამჟამად ყოველწლიურად 26 სექტემბერს აღინიშნება.

ენათა ევროპული დღის მიზნებია:

- ევროპის მდიდარი ენობრივი მრავალფეროვნების კომპეტენტურობის ამაღლება, რომელიც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს და რომლის ხელშეწყობაც ყველა სახელმწიფოს ვალდებულია;
- ხელი შეეწყოს ენათა სწავლებასა და ენათა სწავლებაში მრავალფეროვნებას;
- ენათა სწავლების გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობა ევროპაში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებზე პასუხად.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი

მისია და სტრატეგიული მიზნები

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი (გრაცი) დაარსდა 1994 წელს ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების პოლიტიკის დასანერგად და, კერძოდ, იმ საჭიროების პრაქტიკულად საპასუხოდ, რომელიც ნათლად გაცხადდა წვერი სახელმწიფოების მიერ ენათა სწავლების სფეროში და მასწავლებელთა ტრენინგების საქმეში ევროპის საბჭოსთან წარმატებული თანამშრომლობის გაძლიერებით. დადგინდა საწყისი საცდელი პერიოდი, ცენტრი დამტკიცდა 1998 წელს და რიგი სახელმწიფოები გაწევრიანდნენ *გაფართოებულ ნაწილობრივ ხელშეკრულებაში*, რომელიც შეიქმნა *თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის* მიერ და 2004 წლამდე გაიზარდა რვა დამფუძნებელი წევრიდან 33-მდე.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის მისიაა, პრაქტიკულად დაუჭიროს მხარი თავის წევრ სახელმწიფოებს მათი ენობრივი პოლიტიკის გატარებაში. ის ხორციელდება ინოვაციური მიდგომებით და მიზნად ისახავს თანამედროვე ენების სწავლებისა და შესწავლის ეფექტური პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობას. ამ პროგრამით საერთაშორისო სემინარები, კონფერენციები და კვლევითი პროექტები ხორციელდება; *თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი* ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების საერთაშორისო პლატფორმის ჩამოყალიბებას, დისკუსიისა და ტრენინგების განვითარების სტიმულირებას და იძლევა ფინანსური მხარდაჭერის საშუალებებს. ის მხარს უჭერს ევროპის დონეზე მასწავლებელთა ტრენინგების, მკვლევარებისა და განათლების მენეჯერთა ქსელის განვითარებას.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის პირველი საშუალოვადიანი პროგრამა (2000-2003)

წლიური პროგრამების საწყისი სერიების შემდეგ *თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი* წარმოგვიდგენს 2000-2003 წლების პირველ საშუალოვადიან პროგრამას, რომელიც ემყარება 3-4 წლიან პროექტებს, რომლებიც თეორიიდან პრაქტიკამდე გასავითარებლად არიან შედგენილი. პროექტები პირველ პროგრამაში უსახავს მთელ რიგ პრიორიტეტებს ენის პედაგოგებს და ცდილობს მათთან დაკავშირებით პრაქტიკული მიდგომები გამოიყენოს. მაგალითად, იკვლევს ზოგიერთი ენის სწავლებაში თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებულ მიმართებებს, გვიჩვენებს, რომ თანმიმდევრული პრაქტიკა შეუძლებელია ადეკვატური თეორიული საფუძვლის გარეშე. სხვები იკვლევენ მასწავლებლებისა და შემსწავლელების მსგავს და საპირისპირო თემებს, გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აძლევს მასწავლებლებს მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური განვითარება ახალი როლების შეგუებისა და ახალი კომპეტენციების დაუფლების საშუალებას, განსაკუთრებით ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში. *თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის* შტუდიები გვიჩვენებენ, თუ როგორ შეუძლიათ გააფართოვონ ენობრივი განათლების საზღვრები ინოვაციურ მიდგომებს და შესაძლებელი გახადოს სწავლის გაუმჯობესება მრავალი ადამიანისათვის. ხარისხის ეს ნიმუში მიჩნეულ იქნა ცენტრალურ მომენტად ენობრივ განათლებაში - „სწორი საქმეების კეთება“ და „მათი სწორად შესრულება“.

პროექტიდან გამომდინარე, შედეგები და პრაქტიკული რჩევები გამოქვეყნდა ოცდაათი ბუკლეტისა და CD-ROM-ების სახით.

პროექტის ზოგიერთი შედეგი:

ენის მასწავლებლების სტატუსი: პროფესიის თვალსაჩინოების გაზრდის დაწყება, ძირითადი კომპონენტების იდენტიფიკაცია ენის პრაქტიკულად შემსწავლელებისა და მასწავლებლებისთვის შეკითხვების დასმის გზით. ეს აძლიერებს მეტაფორულ თვითგანსახედვას – „მასწავლებლების საოცრებათა ქვეყანა“, აღწერა მთელი რიგი კონდიციებისა, რომლებშიც ენის მასწავლებლებს პროფესიონალებად სურთ ოპერირება.

მასწავლებლის განათლება და მასწავლებლების პროფესიული სტატუსი.

პრაქტიკასა და თეორიას შორის შუამდგომლობა სხვადასხვა კულტურისა და ენების შესწავლის კონტექსტში: იმის ანალიზი, თუ რომელი თეორია ახდენს გავლენას ფაქტობრივ საკლასო პრაქტიკაზე ენობრივ განათლებაში. პროექტი გვიჩვენებს, რომ ტრადიციული მეთოდები ჯერ კიდევ საყოველთაოდ ვრცელდებოდა. ის ხაზს უსვამდა სწავლების ახალი ფორმების საჭიროებას, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მასწავლებლის ტრენინგზე.

ინტერკულტურული საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩართვა მასწავლებლის განათლებაში:
სახეგასმით გამოიკვეთა მისი მნიშვნელობის უზღუდვებელყოფა ეროვნული კურიკულუმების უმრავლესობაში. მან წარმოქმნა პრაქტიკული კულტურათშორისი საკომუნიკაციო სახელმძღვანელო: „სარკეები და ფანჯრები“ როგორც კლასში, ისე მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამებში.

სასწავლო მასალები:

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ახალგაზრდა შემსწავლელები: ვებ-ინსტრუმენტის შექმნით შესაძლებელი გახდა ონლაინ-გამოცემის „ვარსკვლავების პროექტით“ შექმნა ოთხი მიმზიდველი მოქმედი გვირის შესახებ, რომელთა თავგადასავალი ბავშვებმა გამოიგონეს და დაბეჭდეს თავიანთ უცხო ენის კლასებში.

მეზობელი ენის სწავლება მოსაზღვრე რეგიონებში: ინოვაციური მიდგომების დადგენა, სადაც მიზნობრივი ენის სიახლოვე ეფექტურად იქნა გამოყენებული. ეს განხორციელდა საკოორდინაციო ორგანიზაციის, ონლაინის მონაცემთა ბაზის, პუბლიკაციებითა და სემინარების საშუალებით.

ჯენუა ლინგვარუმი - ენათა კარიბჭე: კურიკულუმებში ენობრივი კომპეტენციის შესავალი იქნა განხილული. ენებისადმი მიდრეკილების გაღვიძება ბავშვებში მათთვის ენობრივი მრავალფეროვნების ახსნით სხვადასხვა წარმოშობისა და სტატუსის ენების მაგალითებზე. პროექტმა უჩვენა, რომ ამგვარი მიდგომები იწვევს დადებით დამოკიდებულებას ზოგადად მრავალფეროვნებისადმი და კერძოდ - ენების ანალიზისადმი ინტერესს, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი შესწავლა შემდგომ საფეხურებზე.

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის მეორე საშუალოვადიანი პროგრამა (2004-2007)

თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის ქმედებები 2004-2007 წლებისათვის აგრძელებს წვლილის შეტანას ევროპის საბჭოს პოლიტიკის დანერგვაში და სპეციფიკური კითხვების დასმით ენობრივი განათლების როლის შესახებ სოციალური ერთიანობის საქმეში. პროექტები მიმართულია ოთხი ფართო სფეროს ფარგლებში:

- თავი გაართვას ენობრივ და სოციალურ მრავალფეროვნებას - უზრუნველყოფით, პროფილით, მასალით;
- მულტიკულტურულ საზოგადოებაში კომუნიკაციას: კულტურათშორისი საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას;
- ენის პედაგოგებისთვის პროფესიული და საცნობარო აპარატის განვითარებას;
- ინოვაციურ მიდგომებს და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ენათა სწავლებისა და შესწავლის საქმეში.

ცენტრის პროგრამა ასევე მოიცავს სხვა აქტივობებსაც ამ ცენტრალური პროექტების გარდა:

- ენების ევროპული დღის (26 სექტემბერი) საინფორმაციო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა ენობრივი პოლიტიკის განყოფილებასთან თანამშრომლობით;
- სპეციფიკური განვითარებისა და ტრენინგების საჭიროებების შესაბამისი აქტივობებით უზრუნველყოფა რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე;
- საერთაშორისო პროექტებში ჩართვა სხვა წყაროებიდან დაფინანსებით;
- თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის აქტივობების გავლენის ამაღლება წევრ სახელმწიფოებზე და მათი მუშაობის შედეგების ოპტიმალურად გავრცელების უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობისა და სინერგიული ქმედებების უზრუნველყოფა ყველა პროექტს შორის, რომელიც პროგრამაში შემოდის;

მრავალი პროექტი მხარს უჭერს ენის პოლიტიკის განყოფილების მიერ ენათა სწავლების ხარისხის ამაღლების პროგრამას *ევროპული ენობრივი პორტფოლიოს გამოყენებით*.

ნაწილი 3

ინსტრუმენტებისა და ინიციატივების პოლიტიკა

- ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: სწავლება, სწავლა, შეფასება (CEFR);
- საწყის დონეზე სახელმწიფო და რეგიონული ენების აღწერები;
- ევროპული ენობრივი პორტფოლიო (ELP);
- ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო;
- ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილი.

ენათა ფლობის

ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR)

(CEFR) არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება წევრ სახელმწიფოებს მრავალენოვანი პოლიტიკის განვითარებაში. იგი წარმოდგენილ იქნა 2001 წელს და მისი საწყისი სტანდარტები ფართოდ გამოიყენება პროგრამის დაგეგმვასა და შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო კონტექსტების ხელშესაწყობად.

(CEFR) გვთავაზობს ენათა სწავლებისა და სწავლის დესკრიფციულ სქემებს, რომლებიც აისახება ენის სწავლებასა და სწავლაზე და დეტალურად გადმოსცემს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს კომპეტენტურმა ენის მომხმარებლებმა სხვა მომხმარებლებთან ეფექტურად დასაკავშირებლად. იგი გვთავაზობს ენობრივი ქმედების თვალსაჩინო აღწერებს და კომპეტენციებს კვალიფიკაციის ექვს დონეზე, ყველაზე დაბლიდან (A1) უმაღლესამდე (2). გამოცდილების ხუთი მომდევნო მაღალი დონე გვიჩვენებს,

რა უნდა გააკეთოს შემსწავლელმა ხელსაყრელ გარემოში და რამდენად კარგად შეასრულებს მას.

CEFR აღწერითი იარაღია, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოფს:

- ენის სწავლების თანმიმდევრობა და გამჭვირვალობა კურიკულუმისა და სილაბუსების არჩევითობის, მასალების სწავლება / სწავლისა და შეფასების ზოგად საფუძველზე;
- ზოგადი საფუძველი და აზროვნებისა და კომუნიკაციის ენა პროფესიონალებს შორის სხვადასხვა ენის, საგანმანათლებლო სექტორებისა და სახელმწიფო საზღვრებზე;
- საერთო ორიენტირები, რათა ხელი შეეწეოს სახელმწიფო და საერთაშორისო კოორდინაციას ენის სწავლების დასაგეგმად და ზოგადევროპული სტანდარტებითა და კრიტერიუმებით გამოცდების ჩატარებას.

**გამოცდების დაკავშირება
კომპეტენციების დონეებთან**

CEFR უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების შედარებითობისა და ურთიერთშეცნობისათვის სათანადო საფუძვლების შექმნას ევროპაში. ამ პროცესის ხელშესაწყობად ენის პოლიტიკის განყოფილება წარმოგვიდგენს საპილოტე სქემას, რათა ხელი შეუწეოს გამოცდების უზრუნველყოფელებს არსებულ საიმედო კავშირებში CEFR-ის დონეებით. სახელმძღვანელო გამოცდებთან დაკავშირებული ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები საგამოცდო საილუსტრაციო მასალითურთ ამ მიზნით ვითარდება.

სახელმწიფო / რეგიონული ენების საწყისი დონეების აღწერა

CEFR გავლენას ახდენს წვერი სახელმწიფოების სახელმწიფო / ოფიციალური და რეგიონული, როგორც მეორე ან უცხო ენების სწავლების პოლიტიკაზე. წინა მოდელის „ზღვრული დონე“ და მასთან დაკავშირებული სხვა აღწერები ექვსი დონის აპლიკაციით გამდიდრდა და გაფართოვდა CEFR-ის მოდელით სპეციფიკური ენების, მაგალითად, გერმანულის, ჩეხურის, ფრანგულის, ქართულის, ბერძნულის, იტალიურის, პორტუგალიურის საწყის დონეზე სწავლების დაგეგმვითა და შეფასებით...

ეპროკჰული ენობრივი პროტოკოლი (ELP)

ELP განვითარდა საპილოტე სქემით 1990-იანი წლების ბოლოს და წარმოვიდგა ფართო მიზნობრივი ჯგუფით 2001 წელს. ეს პერსონალური დოკუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, მფლობელმა აჩვენოს მიღწევები და კომპეტენციები სხვადასხვა ენაში, ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე და დაამყაროს მნიშვნელოვანი კონტაქტები სხვა კულტურებთან. ის შედგენილია იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყოს მრავალენოვნებას გრძელვადიანი ენის სწავლების მოტივაციისა და მხარდაჭერის გაძლიერებით. *ენის პასპორტი* არის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც შეადგენს *ევროპას* - ელექტრონულ ჩარჩოს, შექმნილს ევროპის საბჭოს მიერ პროფესიული უნარების გამჭვირვალობისათვის.

ECML-ი მხარს უჭერს ELP-ის დანერგვას მასწავლებელთა ტრენინგების კომპლექტითა და ძირითად მონაცემებზე ინფორმაციის გაცვლით ELP-ის პროექტების შედგენითა და კოორდინაციით.

ELP-ის აქვს სამი კომპონენტი:

- ენის პასპორტი, რომელსაც მფლობელი რეგულარულად განაახლებს მისი ენობრივი იდენტურობის აღწერის რეზიუმედ, ენის სწავლაში მიღწევისა და ინტერკულტურული გამოცდილების საქმეში;
- ენობრივი ბიოგრაფია, რომელიც გამოყენებულია ენის სწავლის მიზნებით, ამოწმებს პროგრესს, აფასებს შედეგებს და აისახება მნიშვნელოვან ენობრივ სწავლებასა და კულტურათმორის გამოცდილებაზე;
- დოსიე, რომელშიც მფლობელი პიროვნული ნამუშევრის ილუსტრაციის თანამედროვე სელექციას ინარჩუნებს: ანუ, რა მიღწევები აქვს, მშობლიური ენის გარდა, სხვა ენებში.

ELP-ის ორი ფუნქცია აქვს:

- ნახსენებ ფუნქციაში მისი დამატებები - სერტიფიკატები და დიპლომები, რომლებიც მინიჭებულია ოფიციალური გამოცდების მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენით მფლობელის ენის სწავლისა და ინტერკულტურული გამოცდილების და კონკრეტული სიცხადით ენობრივი უნარების შესახებ. ის აგრეთვე ნებას რთავს მფლობელს ენის სწავლა დოკუმენტურად დაადასტუროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთ ოფიციალურად სწავლისას. ტრანსფერენტულობა მიღწეულია ექვსი საკვალი-ფიკაციო დონით *ენათა ფლობის ზოგადევრობული კომპეტენციების* მიხედვით;
- თავისი პედაგოგიური ფუნქციით ELP არის შედგენილი მრავალენოვნების ხელშესაწყობად, კულტურათმორისი გათვითცნობიერების ასამაღლებლად, ენის სწავლის პროცესის მეტი გამჭვირვალებისათვის, აზროვნებითი სწავლების ხელშეწყობისა და შემსწავლელის ავტონომიის განვითარებისთვის და უნარების ასამაღლებლად ხანგრძლივი სწავლების პირობებში.

თანამედროვე პოლიტიკური ინიციატივები

„ენების ევროპული წელი – 2001“ ხელს უწყობს ენის პოლიტიკის განყოფილების სტიმულირების ახალ პროგრამებს, რაც დაიკვეთა სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე სტრასბურგში 2002 წელს. შემდგომ წელს ყურადღება გადატანილ იქნა ენის წარმატებული სწავლებისა და სწავლიდან სოციალურ და პოლიტიკურ იმპლიკაციებზე ენობრივი განათლების მრავალენოვნებისაკენ. განყოფილების ახალი ინიციატივები შეიცავდა წვერი სახელმწიფოების მხარდაჭერას პოლიტიკის ანალიზითა და გლობალური მიდგომის ხელშეწყობით, რომელიც ავითარებს კონფერენციას „უცხო“ და სხვა ენების კურიკულუმებს შორის.

ორი სპეციფიკური ინიციატივა დაიწყო:

ა) პოლიტიკური სახელმძღვანელოს მონახაზი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების მიდგომებს მრავალენოვნებისათვის;

ბ) შემოთავაზებაა წვერი სახელმწიფოებისადმი, რათა დაეხმარონ, ამომწურავად ასახონ თავიანთ ენობრივ საგანმანათლებლო პოლიტიკაში დაგეგმვის ახალი ინიციატივები (*ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილი*).

სახელმძღვანელო ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარებისთვის

სახელმძღვანელო ეხმარება წვერ სახელმწიფოებს, დანერგონ:

- ენობრივი განათლების პოლიტიკის ფორმულირებისა და დანერგვის საჭიროება, რომელიც თანმიმდევრული იქნება სოციალური ჩართულობისა და დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის ევროპაში;
- როგორ შეიძლება განვითარდეს და შენარჩუნდეს ენობრივი განათლების პოლიტიკა საზოგადოებებში ენობრივი მრავალფეროვნებისკენ ლტოლვისა და ევროპის მოქალაქეობის სურვილის გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოში აღწერილია, თუ როგორ შეუძლია ენობრივი განათლების პოლიტიკას, ხელი შეუწეოს ჩართულობასა და თანმიმდევრულ განათლებას მრავალენოვნების საქმეში. ის დაინტერესებულია მთლიანი ენობრივი განათლებით „მშობლიური ენის / პირველი ენის“ სწავლების ჩათვლით, როდესაც პირველი ოფიციალური და/ან სახელმწიფო ენა მოცემულ რეგიონში არ შეესაბამება სიტყვებს „უცხო“, „მეორე“ ანდა „უმცირესობის“ ენები. ამდენად, სახელმძღვანელო შეიცავს ისეთ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია დივერსიფიკაციასთან – კურიკულუმებში ენების შეთავაზებასთან და ენობრივი განათლების საქმისადმი გლობალურ მიდგომებთან.

სახელმძღვანელოს „ძირითადი ვერსია“ ხელს უწყობს მეცნიერულ და პროფესიულ არგუმენტებს და სიცხადეს დეტალებში ენის პოლიტიკის სპეციალისტებისათვის. „ექსკლუზიური ვერსია“ არის მაღალჩინოსანი პოლიტიკოსებისათვის, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ მიღებული სპეციალური ცოდნა ენის სწავლების ტექნიკურ საკითხებში. სახელმძღვანელოს თან ახლავს ინდივიდუალური „საცნობარო შტუდიები“ კერძო თემებზე იმ მკითხველთათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ გარკვეული დეტალების გაცნობა სპეციფიკური პრობლემების თაობაზე.

სახელმძღვანელო ვეროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარებისთვის:

- ანალიზი აძლიერებს და ასუსტებს მიმდინარე ენობრივი განათლების პოლიტიკას, რომელიც საერთოა ევროპის ქვეყნებში და ხსნის იმ პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მოწოდებულია ევროპის საბჭოს მიერ;
- გვიჩვენებს იდენტიფიკაციისა და ანალიზის გზებს არალინგვისტურ და ლინგვისტურ ფაქტორებს შორის მოცემულ გეოგრაფიულ არეალში სათანადო წინმსწრები პოლიტიკის დევერსიფიკაციისათვის;
- აღწერს ტექნიკური ფორმების დიაპაზონს ენობრივი განათლების საორგანიზაციოდ, რომლებიც ავითარებენ პოლიტიკას და შეუძლიათ მათი დანერგვა.

ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილები

ექსპერტი საერთაშორისო დონეზე დაეხმარება იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ გაიაზრონ თავიანთი ენობრივი განათლების პოლიტიკა. მისი მიზანია, შესთავაზოს სახელმწიფოებს, რეგიონებს ან მუნიციპალიტეტებს ხელსაყრელი პირობები, რათა მოახდინონ თვითშეფასება მათი პოლიტიკისა ევროპის საბჭოს ექსპერტებთან დიალოგის სულისკვეთებით, შესაძლო სამომავლო პოლიტიკის განვითარების განხილვით. ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილების განვითარება არ ნიშნავს გარეგან შეფასებას. ესაა ხელისუფლების მიერ მათზე ადეკვატური რეაქციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის პროცესი, ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად მათ კატალიზატორების ფუნქცია ეკისრებათ.

ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილი მოიცავს მრავალ ნაბიჯს:

- ქვეყნის ანგარიშგების მომზადებას ხელისუფლების აღწერითა და მიმდინარე პოლიტიკის შეფასებითა და ახალი და დაგეგმილი ინიციატივების კონტურების მოხაზვით;
- ევროპის საბჭოს ექსპერტების ჯგუფის ვიზიტს მოჰყვა ექსპერტების ანგარიშგება დიალოგის ფორმაში ხელისუფლებასთან;
- მრგვალი მაგიდა და სხვა ფორუმები შემდგომი გააზრებისათვის;
- წინასწარ განტვირთვა ევროპელი ექსპერტების ჯგუფის საბჭოსა და ხელისუფლებების მიერ ერთობლივად შექმნილი ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილის პროდუქციისა.

პროფილის ჩარჩოები მთლიანობაში მოიცავს ენობრივი განათლების ანალიზს. ექსპერტების ანგარიშგება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განათლებას

მრავალენოვნებისთვის და სახელმწიფო და ეროვნული ენების, უცხო ენების და რეგიონული და უმცირესობათა ენების სწავლებასა და სწავლას.

მრგვალი მაგიდა მონაწილეთა ფართო სპექტრის წარმომხენის საშუალებას იძლევა, დაწვეული საგანმანათლებლო სისტემიდან, დასრულებული სამოქალაქო საზოგადოებით. საბოლოო პროფილი მთელ ყურადღებას გადაიტანს მიმდინარე სიტუაციის მიმოხილვასა და სამომავლო განვითარების ალტერნატივებზე.

თერთმეტი ქვეყანა და ორი რეგიონული ხელისუფლება იყენებენ შანსს, დაეხმარონ პროფილს, პირველ სამ წელიწადს ისარგებლოს შემოთავაზებებით.

განათლების ენა / ენები

ახალი ქმედებები დაიწყო სოციალური თანმიმდევრულობის ხელშეწყობის განხილვით *მთავრობებისა და სახელმწიფო მეთაურების მომდევნო (მესამე) სამიტზე*. ის დაინტერესებულია ეფექტური კითხვისა და წერის უნარების განვითარებისთვის ინსტრუქციების შემუშავებით, რაც არსებითია წარმატებული სწავლისათვის მთლიანად კურიკულუმის ფარგლებში.

პროექტი გააანალიზებს და განსაზღვრავს მიდგომებს კურიკულუმისადმი ენების სასკოლო განათლებაში, მხედველობაში მიიღებს ენობრივ უნარებს, რაც საჭიროა კურიკულუმის ფარგლებში სასწავლად; ის ასევე გამოცდის შესაძლო კავშირებს სწავლას, სწავლებასა და შეფასებას უცხო (და სხვა) ენებს შორის, რათა ხელი შეუწყოს თანმიმდევრულ მიდგომას ენობრივ განათლებაში.

მოსალოდნელია, რომ შედეგები წარმოშობს შეკითხვებსა და წინადადებებს საერთო ინსტრუმენტის შესაქმნელად, რაც მოგვცემს სასკოლო ენობრივი განათლების აღწერისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავების საშუალებას. მოსალოდნელი შედეგი შეიძლება გამოვიყენოთ სასკოლო განათლების

პოლიტიკურ სტრატეგიებსა და ვარიაციებში და ენების კურიკულუმში ისე, რომ მხედველობაში მიიღოს მშობლიურ და არამშობლიურ ენაზე მეტყველთა სპეციფიკური საჭიროებები და უმცირესობებისა და მიგრანტების არახელსაყრელი პირობები.

დასკვნა

ვეროპის საბჭო განაგრძობს წვლილის შეტანას ენობრივი განათლების პოლიტიკის მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების ხელშეწყობის საქმეში. ის პოლიტიკა, რომელიც ავითარებს მრავალენოვნებას პიროვნებებს შორის, საჭიროებს საბაზრო ძალებს შორის ბალანსის შენარჩუნებას. რომლებიც ენობრივ ჰომოგენიზაციას ახდენენ, და, ამდენად, ზღუდავენ მოქალაქეთა პოტენციას, განვიითარონ უნიკალური ლინგვისტური რეპერტუარი.

პიროვნებებში მრავალენოვნების განვითარება ხელს უწყობს სამუშაო მობილურობისა და დასვენების აუცილებელ კონდიციებს და მიზნებს მრავალენოვან ევროპაში, სადაც სამუშაო ძალის მრავალენოვნება აუცილებელი ნაწილია ადამიანის კაპიტალისა გლობალურ ეკონომიკაში.

მრავალენოვნება მეორეული ძირითადი ფაქტორია დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად მრავალენოვან ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში. ის განსაკუთრებით აუცილებელია საზოგადოების ყველა წევრის სოციალური და პოლიტიკური ჩართულობისთვის და ევროპელებს შორის დემოკრატიული მოქალაქეობის აქტიური გაზიარებისთვის.

მესამეც, მრავალენოვნება სიცოცხლისუნარიანია საზოგადოების ინფორმაციასა და სწავლებაში, სადაც ცოდნისა / სწავლის ხელმისაწვდომობა და მენეჯმენტი გადამწყვეტი ფაქტორებია სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

მრავალენოვნებას ესაჭიროება განვითარება არა მხოლოდ პრაქტიკული და პროფესიული მიზნებისთვის, არამედ ღირებულებისთვისაც, რაც არსებით როლს თამაშობს ცოდნის ამაღლებასა და ენობრივი მრავალფეროვნების პატივისცემაში.